საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 218 2022 წლის 5 სექტემბერი ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრთა დანიშვნის შესახებ

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1^1 და 1^2 პუნქტების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულ წევრებად დაინიშნონ:

აბიათარი ივანე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და „მედიცინის სკოლის“ ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;

ავალიანი ზაზა – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

ბიწკინაშვილი მაია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოციირებული პროფესორი;

გელანტია მარინე – სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ეკალაძე ეკა – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;

ვალიშვილი თამარ – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;

ზალდასტანიშვილი ხათუნა – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

თათოშვილი დავით – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;

კობეშავიძე დავით – შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;

კულუმბეგოვი ბიძინა - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;

ოკრიბელაშვილი ნინო – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;

რატიანი ლევან – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური

დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

სხვიტარიძე ნათია – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

შარიქაძე ნინო – შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

ჩხაიძე ივანე – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

წიკლაური შორენა – შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოციირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

ჯავაშვილი გივი – საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 31 აგვისტოდან.

ირაკლი ღარიბაშვილი